



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეჭინბე

მეჭინბე, ერთიანი ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო აპარატის სამხედრო უწყების მოხელის, *ამილახორის* (ამირახორი) ხელქვეითი, *მეჭინბეთუხუცესის* გამგებლობაში მყოფი პირი. მ-ის მთავარი ფუნქცია იყო მეფის საჭინბოს მოვლა-პატრონობა.

„ხელმწიფის კარის გარიგება“ ხაზგასმით გამოყოფს ბარაღხანის მ-ებს, რ-თა მოვალეობაში შედიოდა მეფის ცხენის შეკაზმვა. საბრძოლო ოპერაციებისათვის განკუთვნილი ცხენების მოვლა. ისინი სამეფო საჭინბოს ცხენებს სამეფო კარის სხვადასხვა საჭიროებისათვის (მეფისა და მისი ოჯახის წევრების გადაადგილება, სანადიროდ მომზადება და სხვ.). ინახავდნენ. ბარაღხანის მ-ები სამეფო პურობასაც ესწრებოდნენ და სუფრის ბოლოში ისხდნენ. ისინი სასახლიდან ულუფას ღებულობდნენ.

XVII-XVIII სს. საქართველოში მ-ების სახელოს მნიშვნელობა დაქვეითდა. ამ პერიოდში მეჭინბეობა საბეგრო ვალდებულებად იყო ქცეული და მას ყმებს ავალებდნენ. თავისი ერთ-ერთი სიგელის მიხედვით ერეკლე II-ს (1720-98) ამ ბეგარისგან გლეხი გაუთავისუფლებია.

ლიტ.: ა ნ თ ე ლ ა ვ ა ი., საისტორიო წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 2002; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, წგ. 1 ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, თბ., 1952.

ი. უკმაჯურიძე
